"ვამტკიცებ"
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ს. მელია

საკვალიფიკაციო ტურნირი IV და V სპორტულ თანრიგზე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია

2. ჩატარების დრო და ადგილი: 11-12 თებერვალი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15.

3. ჩატარების სისტემა: ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, ტურნირის სისტემას, დროის კონტროლს და ტურის დაწყების საათს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

4. დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე.

5. მონაწილენი: ტურნირში დაიშვებიან საქართველოსა და მსოფლიოს საჭადრაკო ორგანიზაციის წევრი სპორტსმენები.

6. რეგისტრაცია: მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/HguSWc9394ZWPy5t6
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 10 თებერვლის 20:00 საათი.
   დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.
   რეგისტრაციაზე და კენჭისყრაზე საკონტაქტო პირია მსაჯი - 558 410904.

7. ტურნირის განრიგი:
   ტურნირის გახსნა: 11 თებერვალი, 13:30 წთ.
   I-II-III ტური - 11 თებერვალი, დასაწყისი 14:00 საათი.
   IV-V-VI-VII ტური - 12 თებერვალი, დასაწყისი 14:00 საათი.

8. სატურნირო შესატანი: 10 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).
   აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
   ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

9. გამარჯვებულები:
   გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის
   მიხედვით.
   თაი – ბრეიქი: ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების

დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

10. დაჯილდოება:

- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.
- V თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4,5 და მეტ ქულას მიენიჭებათ V სპორტული თანრიგის 1 ბალი.
- IV თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 5 და მეტ ქულას მიენიჭებათ IV სპორტული თანრიგის 1 ბალი.

სარეგისტრაციო ბმული და სასტარტო სია (სარეგისტრაციო ვადის დასრულების შემდეგ) განთავსებული იქნება ფედერაციის საიტზე: **www.acf.ge**

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სალომე მელია
მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი ფელიქს მელქონიანი